# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლები, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გვარამიძის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

ფასი განცხადებისა: დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., წვრილის ასოებით, ასოზე ნახევარი კაპ., წვეულებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.


**არწრუნის თეატრი**

ოთხშაბათს, 13 ოქტომბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

1 წარმოდგენა აბონემენტის რიცხვში

I

**ჟან ბოდრი**

დრამა 4 მოქმედებად.

მონაწილეობენ—ნ. გაბუნია, მფ. მესხი, ა. ყიფიანი, ა. მესხი და სხვ.

II

**ლეკური**

დასაწყისი 8 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილო-რუსის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**ბელგრადი**, 11 ოქტომბერს. სერბიის კოროლს, რომელიც დღეს დაბრუნდა ბელგრადში, ვიღაც ქალმა რევოლვერი ესროლა; მაგრამ კოროლი უვნებლობით გადარჩა.

**პეტერბურგი**, 11 ოქტომბერს. გაზეთს „მოსკოვის ტელეგრაფს“ ხელახლად მიენიჭა ცალკე ნომრების გასყიდვის ნება-რთვა.

„გოლოსში“ იწერებიან, ხარკოვის გუბერნიის რჩევა ხელ-მეორედ შუამდგომლობს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ტეხნოლოგიური ინსტიტუტი მალე გაიხსნას ხარკოვში.

გაზ. „ნოვოსტში“ დაბეჭდილია, რომ მალე გამოვა კანონი, რომლის ძალითაც პროტესტ გაკეთებული ვექსილები შემდეგში პირ-და-პირ სასამართლოს ბოქაულებს (პრისტავებს) უნდა გარდაეცეს; სასამართლო ამ ვექსილების საქმეს მხოლოდ მაშინ განიხილავს, როდესაც ვექსილის მიმცემი სიყალბეს განაცხადებს.

**პეტერბურგის ბირჟა**, 11 ოკტომბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95 — | 25 |
| მეორესი — — — — | 91 — | „ |
| მესამესი — — — — | 91 — | 25 |
| მეოთხესი — — — | 90 — | 25 |
| მეხუთესი — — — | 90 — | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 — | „ |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 — | 25 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 — | 12 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 — | 17 |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — | — 208 — | 50 |
| მეორე სესხის — | — 202 — | 50 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | — 24 — | 25 | პენსი |
| ჰამბურგი | — 206 — | 37 | ცენტი |
| პარიჟი | — — 254 — | 50 | სანტიმი |
| ბერლინი | — „ — | „ | პფენიგი |

**ღლიური**

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი, ჩვენთვის საყურადღებო, სიტყვა, რომელიც განჯისა და ერევნის გუბ. სახალხო სკოლების დირექტორს ბ. ლევიტსკის წარმოუთქვამს სოფ. აგდაშში, როდესაც ამ სოფლის მცხოვრებლებისაგან (თათრებისაგან) გახსნილი სკოლა აკურთხეს; მოგვყავს რამდენიმე ადგილი ამ საინტერესო სიტყვიდან:

„რას მოელით თქვენ ამ ახლად-გახსნილ სკოლისაგან? რა უნდა ასწავლოს იმან თქვენ შვილებს? თქვენ, რასაკვირველია, გსურთ, რომ თქვენმა შვილებმა ისწავლონ სკოლაში სამშობლო, თათრული ენა, ისწავლონ თავის რჯულის კანონები და წინაპართა პატივისცემა და ჩვეულებანი. სწორედ ამას ეცდება ეს სკოლა; ამისთვისაც არის აქ მასწავლებლად დანიშნული თქვენი რჯულის კაცი—მაჰმადიანი. სკოლას რომ ამ გვარი მიმართულება ექნება—ამაში გარწმუნებთ მე, რუსის მეფის უფლების წარმომადგენელი, იმ რუსის მეფისა, რომელიც ყველა სხვა-და-სხვა გვარ-ტომის ხალხს, რომელიც იმის დიდ იმპერიას შეადგენენ, ერთნაირად ეპყრობა, რომელიც ყველა ერს სრულ უფლებას აძლევს თავის სარწმუნოება, კეთილი ჩვეულებანი და თავის სამშობლო ენა დაიცვას. მაგალითი თვალ-წინა გვაქვს; მოიგონეთ ყაზანის თათრები, რომელთ ენას, სარწმუნოებასა და ხასიათს კაცი არ შეჰხებია.

„სამშობლო ენას გარდა, ამ სკოლაში რუსულ ენასაც ასწავლიან. რუსული ენის ცოდნა საჭიროა თქვენის შვილებისათვის, თუ გინდათ, რომ, ამ სკოლაში სწავლის შესრულების შემდეგ, იმათ შეეძლოთ საშუალ და უმაღლესს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება“.

ყველა დირექტორები და იმათი უფროსები რომ ასე ლაპარაკობდნენ და ასე მოქმედებდნენ—ჩვენ მეტი არა გვინდა-რა...

* * *

მოგვყავს გაზ. „სტრანიდამ“ ზოგიერთი ადგილები კორრესპონდენციისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის საქმეებს შეეხება:

„ახალი მთავარ მმართებელი კავკასიის დახედვამ დაარწმუნა, რომ „ჯარები კავკასიაში მშვენიერ მდგომარეობაშია, სამოქალაქო უწყება კი საძაგელს მდგომარეობაში“.

„თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ისე განაგებს ამ ქვეყანას, როგორც ნამდვილ ადმინისტრატორს შეჰფერის: არც ერთ გვარ-ტომისა და სარწმუნოების ხალხს ის უპირატესობას არ აძლევს: რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი—იმისთვის სულ ერთია, ყველას ერთნაირის სამართლიანობით ეპყრობა; იმას სურს, რომ სამართალი და ადმინისტრაცია ყველას ერთნაირად იცავდეს და ემსახურებოდეს.

„ადრე კი ასე არ ყოფილა: რუსის

**დროების ფელეტონი, 13 ოკტ.**

### ჭრელი ამბები

(წერილი ერწო-თიანეთიდამ)

„ეს რა ცეცხლში ჩავარდიო“ იტყვის ხოლმე ჩვენი კაცი, როდესაც გაუჭირდება და არ იცის, როგორ აიცილოს თავიდან ჭირი. სწორედ ესევე ეთქმის თიანეთის მაზრის ხალხს. ამ „ცეცხლის“ წვას დიდი ხანია შეჩვეულია ჩვენი ერის ნაწილი კაცობრიობისა. ეს „ცეცხლი“ დაუნთია თვით ისტორიას ძველთა დროში ცეცხლის გამჩაღებელი, გამაძლიერებელი ხალხი ემშვიდობება და გვერდისგან ჩნდება...

ჩვენი მაზრის საქმეები რა სახსენებელია ქვეყნიურ საქმეებთან და ისტორიასთან, მაგრამ რადგან აქაური „ცეცხლი“ იმ საზოგადო „ცეცხლის“ ნაწილია, ამისთვის ღირსად ვხად მოვიგონო. გარდა იმისა, რომ ჩვენი ცეცხლი გაძლიერებულია და შეშად უენო ხალხი უკეთია, იმას აქვს ერთი განმასხვავებელი თვისება: იმას შემოურტყმია რაღაც საუცხოვო ქმნილებანი — გასაგმირად დამშეულის შუბებით, როგორც იმათი მფლობელნი. ეს უცხო არსებანი წვერპირ-გასისხლიანებულები, საუცხოვოდ კასკასებენ, დახტიან ავსტრალიელებივით იმრგვლივ, სჩხვლეტენ და ზედ ნიშის მოგებით დასძახიან ცეცხლში მოყოლილთ. ეს ტიტველა ხალხი იწურება სისხლით, უდგა ერთი ჭაება, წივილ-კივილი, და იძახის:—გვიშველეთ, ღმერთი არავისა გწამთ! მაგრამ ვინ არის მშველი? ზეცა? იმასაც აღარ სცალიან, ქვეყნის ცოდვების ანგარიშს უნდება!

აი ჩვენის „ცეცხლის“ ამბავი:

თიანეთის მაზრაში—სამხრეთისკენ მდებიარებს კარგა ვრცელი, ვაკე ადგილი სახნავ-სათესით, სოფლებით მოფენილი. სულ წინად აქ მდგარა ტბა გარშემო ატეხილის ტყით, რომელიც აღზრდილა ციურის ნამით და მზის შუქის ალერსს ქვეშ გაზრდილა. მტერი არ დაბადებოდა ჯერ ამ ტყეს: ფეხ წმიდა ირემი თუ ლახავდა ამ მთა-ბარის არე-მარეს და გახვლეპილი კოსალა თუ გაჰკივლებდა ბედის მომდურავ კაცისებ, თორემ სხვას არავის შეეძლო წაებილწა ამ ტყის სიქალწულე.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში, სხვა-და-სხვა ადგილებიდამ შევიწროებული ხალხი მოსწოლია: აჩქარებულა ცული და წერაქვი, შერყეულა ბუნების მყუდროება, აშენებულა სოფლები ფშაველებისა, ქართლელებისა, გუდამაყრელებისა, ხევსურებისა. ამ ადგილის წყალობით დღემდი პირში სული უდგათ აქაურ ხალხს.

ამ სოფლებს ერთად ჰქვია „ერწო“. ეს ადგილი ყოფილა სახელმწიფო; ბოლო დროს დავით მეფეს გამოღმა-სამხრეთის მიწები შეუწირავს ღვთაების ეკკლესიისთვის, რომელიც უკვე ხავსით გადაჰბმია, დაკავშირებულა წიფლებთან. ადგილობრივ მცხოვრებხევსურებს უძლევიათ საეკკლესიო ხარჯი ბერებისთვის *).

ბოლო დროს ხიმშიაშვილს, ორმოცი ვერსის სიშორეზე, დუშეთში, სუნი სცემია ამ ადგილებისა.... რასაკვირველია, ამ გვარ ხალხს, როგორიც ხევსურები, ბრწყინვალე თავადი,

*) ეხლაც უჭირავთ კვიტანციები ბერი ტარასოვისაგან და თვით მეფის გუჯარა, მოწმად იმისა, რომ ეს ადგილი საეკკლესიო ყოფილა.

ავტ.

გინდ ალმა უზამდა თავს, გინდ დალმა, როდესაც აქ მობრძანებულა, ბერები გადასულან, ხალხი ნელ-ნელა შეუჩვევია ხარჯისთვის, ბოლოს კიდეც დაუყორღვინებია თავის სახელობაზე, როგორც მოგეხსენებათ; გამიჯნის კამისიის წყალობით. უადგილო არ იქნება აქ მისი განცხადების პირი მოვიყვანო:

„ზემლემერი XX 1871 წ. ენკენისთვის 15 შეუდგება მამულების გამიჯნას და მონაწილეთა შორის გაყოფას ამტნის ხევის მამულებისას, აცხადებს, რომ ყველამ, ვისაც აქვს მონაწილეობა, ან ეძებს მონაწილეობას ამ მამულებში და აგრეთვე ვინც ჰფლობს სრული საკუთრებითის უფლებით ცალკე მდებარე მამულებს ზემოხსენებულ ამტნის-ხევში, დაუყოვნებლივ გამოეცხადონ ამ ზემლემერს, რომელიც და სხვ., წინააღმდეგ ამისა, ვინც არ გამოცხადდება თავის დროზედ, თანახმად გამიჯნის წესდებულების 64 მუხლისა, იმათ შემდგომ აღარ ექნებათ ნება ითხოვონ ხელ-ახლად გამიჯნა ან დაბრუნება იმ მამულებისა, რომელიც შემომიჯნული იქნება სხვის სახელობაზედ, რომელთაც თავის

უფლების წარმომადგენელნი თითქმის კაცადაც არ აგდებდნენ სხვა აქაურ გვარ-ტომობის ხალხს; თვით სამართალიც „ყველასთვის ერთნაირი და სამართლიანი“ არ ყოფილა.

ერთის სიტყვით, ახალ მთავარ-მმართებელს ჰსურს, რომ თანასწორობა შემოიღოს კავკასიის ხალხების ცხოვრებაში; სკოლების გამრავლებას ცდილობს, ერთ ნაირი უფლება მისცა ამ სკოლებში რუსულსა და ადგილობრივ ენებსა, აუჩქარა ადგილ-მამულის გამიჯნის საქმეც და სხვ.

ღმერთმა ინებოს, რომ ყველა ეს მართალი იყოს.

* * *

ამბობენ, რომ კავკასიის დამოქნის გამგეობაში ჯერ-ჯერობით არავითარი ცვლილება არ მოხდებაო, მხოლოდ ორს სადამოქნო მაზრაში თითო ჩინოვნიკი მოემატება და თითო არხიტექტორი(?) დაინიშნებაო.

* * *

„კავკაზის“ სიტყვით, ტფილისში იმყოფება ამ ჟამად ფრანცუზის მოგზაური პქხლინ-შვარც, რომელმანც შარშან ასწერა თავის მოგზაურობა კავკასიაში და ცალკე წიგნი გამოსცა ამ მოგზაურობის თაობაზედ („*Un touriste au Caucase*“).

* * *

ამ სამი დღის განმავალობაში თუ ჩვენი თათრები ფაიტონებით დარიხინობენ და არა-ჩვეულებრივად ქეიფობენ, ნუ გაგიკვირდებათ: იმათი დიდი დღესასწაულია — ყურბან-ბაირამი.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებლების კრებას უკვე შეუმუშავებია პლანი იმ სწავლისა, რომელიც უნდა გაიმართოს უფასოდ ამ სასწავლებელში კვირა-უქმ დღეებში დიდებისთვის. ამისათვის იქნება ოთხი განყოფილება: რუსების, ქართველების, სომხების და თათრებისათვის, რომელთაც თავ-თავიანთ ენაზე ექმნებათ სწავლის გარდაცემა. პროგრამმაში შედის, სხვათა შორის, რუსული ენაც ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის და ისტორიული და გეოგრაფიული ცნობანიც.

საქმე შეჩერებული იქნება მხოლოდ ბ. მზრუნველისაგან ამ პლანის დამტკიცებამდის, რომლის შემდეგ ზემოხსენებული სასწავლებლის მასწავლებლები შეუდგებიან თავიანთ განზრახულ კეთილ საქმეს. იმედია, ბ. მზრუნველი არ დააყოვნებს ამ საქმეს.

## შენიშვნა საქართველოს კათოლიკოზების ამორჩევის შესახებ

„დროების“ მე-208 ნომერში, „დღიურში“, დაბეჭდილია შენიშვნა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ საქართველოს ეკკლესიას განაგებდნენ ქათალიკოზნი (კათოლიკოზნი), რომელნიც ირჩეოდნენ ამ თანამდებობაზე ეპისკოპოსთაგან.

ძალიან შემცდარი აზრია ის აზრი, ვითომც კათოლიკოზებს ეპისკოპოზნი ირჩევდნენო. ისტორიულად ვიცით, რომ კათოლიკოზები ირჩეოდნენ არა მარტო ეპისკოპოზებისა და მთავარ-ეპისკოზებისაგან, არამედ მთელის საქართველოს წარმომადგენელთაგან, დელეგატთაგან, რომელნიც იყვნენ საერო კაცნი. სასულიერო წოდებისაგან მთავარ ეპისკოპოზნი და ეპისკოპოზნი იყვნენ და საეროს ხალხისაგან მთელის საქართველოს სხვა-და-სხვა სამრევლოებთაგან ამორჩეული წარჩინებული კაცები თავად-აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთაგან. ეს ამორჩეული კაცები მომატებულად იყვნენ ხოლმე გამოჩენილის თავადთაგანი მეფის მოდარბაზე ანუ გამგებელი თემისა, ან სარდალი, მსაჯული და სხვანიცა, რომელნიც გამოჩენილნი იყვნენ ნიჭით და ქვეყნისთვის შრომებით.

ამასთანა შეცდომა, კათოლიკოზის ამორჩევის შესახებ, არ უნდა დაგვეგდო შეუნიშვნელად იმიტომ, რომ შესაძლებელია როგორც რუსეთში, ისე ჩვენში კათოლიკოზობა განახლდეს (როგორც ბევრს იმედი აქვს) და მაშინ ჩვენ უნდა ვიცოდეთ — რა წესით ირჩეოდნენ კათოლიკოზები. მაინც ძალიან საინტერესო იქნება ჩვენის ისტორიის მცოდნეთ ხმა ამოიღონ ამაზე და დაწვრილებით გვაცოდინონ ამორჩევის წესი.

კათოლიკოზობის მომხრე.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ახალ-სენაკი**, 8 ოქტომბერს. მსურს გაცნობოთ ერთი ყურადღების მისაქცევი გონივრული ღვაწლი სენაკის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თ. ბ. ფალავასი: უეჭველია, ბ. მარშალი დაიმსახურებს თქვენის მკითხველებისაგან დიდს პატივცემას და მოჰბანს იმ ჭუჭყს რაც მოსცხებია მას, თუთხმეტი წლის განმავალობაში მარშლის თანამდებობის ასრულებისათვის.

წასრულს ენკენისთვეში გადაიყვანეს აქედამ ქ. ფოთში, ერთი სენაკის მაზრის ხაზინის კანცელარიაში მოსამსახურე ჩინოვნიკი. ამაზედ ჩვენი მარშალი ძლიერ გაჯავრდა; იმან მიიღო დიდი მონაწილეობა ამ კაცის ბედში; იგრძნო, საზოგადოება დღეს ილუპებაო, შეჰკრიბა მის მახლობლად მცხოვრებნი თდ.-აზნნი და გლეხნი, აგრეთვე ახალ-სენაკის მოვაჭრენი თუ მედროგეები, დააწერინა თხოვნა, როგორც ლაპარაკობენ, ერთ თავის მეგვარესა სახაზინო კანცელარიის სახელზედ, მოაწერინა ხელი როგორც დამწერს, აგრეთვე სხვა ყველა ზემოხსენებულთ, დაასო თითონ თავისი ბეჭედი და ითხოვა საზოგადოების მაგიერად იქედან გადაყვანილის ჩინოვნიკის დაბრუნება; თუ არ დააბრუნებთ, საზოგადოება დაილუპებაო.

საუბედუროდ, ამაში მონაწილეობის მიმღებთა და ბ. მარშალსა დავიწყნიათ მარკის მიკვრა თხოვნაზე, ჰგონებიათ მარშლის ბეჭედი მარკის ადგილას დაიჭერდა, და ამისათვის ხაზინამ სამ აბაზიანი მარკა ამჯობინა მარშლის ბეჭედს და უკანვე დაუბრუნებიათ თხოვნა უეზდის უპრავლენიაში!

ახლა უეჭველია, მარკას მიაკრავს და ისევ დააბრუნებენ თხოვნას, შეიძლება ღმერთმა მოახედვიოს პალატას, შეიწყნაროს ჩვენი მარშლის თხოვნა და გადაარჩინოს საზოგადოება დალუპვისაგან.

მეორე თხოვნა ამ გვარივე სჭირდება ბ. მარშალს და დიდი შრომა მოელის საზოგადოების დაცვისათვისა; არ ვიცი როგორ მორიგდებიან ამ შემთხვევაში ის და მმართებლობა; ახალ-სენაკიდან გადაუყვანიათ, როგორც მითხრეს, ერთი ტელეგრაფისტი, ხაზინის პრისიაჟნი და ერთი კამანდის უნტერ აფიცერი.

აი, ბატონო, მკითხველო, რა ნაირი მზურნველების ხელში ვართ! მაგრამ ერთი ვკითხოთ ბ. მარშალს და იმ თხოვნაზედ ხელის-მომწერთ: რა საზოგადო საქმეს შეადგენს სახაზინო ჩინოვნიკის გადაყვანა ერთიდან მეორე ადგილზე. იქნება ეგონათ წერა-კითხვა არ ეცოდინებოდა მის ადგილზე გადმოყვანილ ჩინოვნიკს და მარშლის მაგიერად პენსიის აღების დროს ვინ მოაწერს ხელსო! კარგი, ბატონს

---

დროზედ გამოაცხადეს თავისი უფლება... “

რა თავ-მოყვარე კანონები დაგვიარსდა მკითხველო! ამაზე მეტი ცეცხლი იქნება: აქამდა ხიმშიაშვილმა გამოაცხადა, იმიტომ უეჭველად იმას უნდა დარჩენოდა, ხუთი-ექვსის სოფლის საცხოვრებელი. მაშ დასწრებაზედ ყოფილა საქმე! ხიმშიაშვილი, რასაკვირველია, დაასწრობდა; გლეხებს კი იმათი განსაკუთრებითი პირობები და მდგომარეობა ვერ შეუწყობდა ამ მხრით ხელსა.

მკითხავთ: ვინ არი დამნაშავე, რომ განსაკუთრებულ მდგომარეობაში არიანო? ამაზედ მე ვუპასუხებ, რომ იმათი სჯა უსამართლო, უკიდური, უნიადაგო იქნება, რადგან ფორმის გულისთვის მთელი ხალხის წყლისთვის მიცემა მეტის-მეტი უსამართლობაა. ყოველი საზოგადოება, სახელმწიფო, თქვენც კარგად უწყით, თუ უნდა, რომ ყინულზედ არ გაცურდეს თავის კანონებითურთ, უნდა იცავდეს სამართლიანობას და უმეტესობის სარგებლობის ინტერესს...

ასე, ამ ნაირად თ. ხიმშიაშვილმა დაიჭირა თავის კლანჭებში ნახევარი ერწო და რაკი ეს ხალხი მოემწყვდა რკინის ლახტის ქვეშ, იმან პირ-დაპირ გამოუცხადა:

— თქვენ ჩემი ყმები ხართ, ამის შემდეგ რაც ხარჯი შემოგაწეროთ, წმიდის, ფაქიზის ხელებით უნდა მომართოთო!

გლეხებს ეს საპალნე ემძიმა.

ჩვენი ხალხი, როგორც ყველა ხალხი ამ შემთხვევაში მომთმენია, ავტორიტეტს ვერ აღუდგება წინ, მინამ სახრჩობელაზე არ მივა იმისაგან და მაშინ კი გაინძრევა, ავტორიტეტსაც კრიტიკულად შეხედავს. თავისუფლებას მიჩვეულ ხალხმა არჩია სიკვდილი „მალხინებელი დედის“ დაკარგვას. ბევრნი გამოჩნდნენ იმ ნაირები, რომელთაც საშუალებად მოიგონეს ეკითხნათ თავის „ყელ-ჭრელი“ ხირიმებისათვის, მაგრამ ხიმშიაშვილმა აქ ხერხი იხმარა — აფრინა კაცი და ქალაქში: „გამოაცხადე, რომ ხალხი მამულებს მართმევს, მიჯანყდებაო“. იმ წამს დაბადებულა ყაზახები, მოუთოკავთ წინააღმდეგები და გაუსტუმრებიათ გასასწორებელ მომაჭკვიანებელ სახლში.

აქ ჩვენი აკაკის სიტყვები მაგონდება:

„თუ ვაჟკაცურად კაცსა ჰკლავ,
მაშინ ხარ ჩინგის-ყაენი,
და ქვეყნის გმირი — თუ მოძმეს
ღალატობ, როგორც კაენი.

უსამართლობა წინ მიდის
კანონიერის გზებითა:
სრული უფლება ეძლევა
სხვა-და-სხვა კონგრესებითა“.

მას აქეთია საჩივარი მოქმედობს, მაგრამ ნამოქმედარი გლეხების სასარგებლოდ არა სჩანს. ხალხის თხოვნა და ღალატება მიწაში იმარხება. მგონია, თორმეტი თხოვნა ეწყოს ზოგი კანტორაში, სხვა სამეფო ქონებათა უპრავლენიაში, ვინ იცის ნახევარი იმათგანი ჩირჩილმა შეჭამა და ნახევარი „ვინმემ“ „ვისმეს“ გულისთვის გადაყლაპა?!

რა კი ბ. ხიმშიაშვილმა გაიგო, რომ გლეხ-კაცობა თავის ინტერესს იცავს, ჩივისო, უფრო და უფრო აჭერს კისერში მახათს. გლეხმა, მშრომელმა კაცმა რა ქნას, იმისი სული გაჭყლეტილი რკინის ლახტის ქვეშ არის მომწყვდეული? ბატონიც ამით ფრთებ შესხმული, ხმარობს სისხლის და ტვინის გამომსუტავ საქციელს. დღიურზე ილებს (მოსავლის-მოუსავლობის დროს, სულ ერთია) სამ მერკას, რომელიც შეადგენს თითქმის, ორ კოდს; ახლა კომლეურად გაწერილია: თითო ლიტრა ერბო, ქათამი, კვერცხები, წეკო, ერთი სიტყვით ყველაფერი, რასაც კი კბილი მოეკიდება... მიკვირს, რომ დედაკაცის მანდილებსაც არ დაადო იჯარა! ახლა, თუ ვიტყვით, რომ აქ ზოგს ქვრივ-ოხერს, არა ისე დავრდომილს, თავის გარდა ერთის კატის და ოთხის ქათმის მეტი არაფერი აბადია, რასაკვირველია, სახელმწიფო გადასახადის მიცემა წარმოუდგენელია. მაგრამ ახლა ზოგს ჰკითხეთ, რას გიპასუხებენ? — გლეხებს რა უჭირსთ, კარგად ცხოვრობენო! ამ ხალხს როდი სჯერა ყურში ჩაძახილი ხმა — იმათგან, ვინც სათავეში უდგა სოფლის საცხოვრებელ წყაროებს. ზოგს „ფანტაზიორებს“ ეძახიან, ეს ვაჟბატონები, სხვას „მოუსვენარს“, თითქო ვისთვისმე სასახელო არის სოფლის ცუდ მდგომარეობაზედ გაზეთებში წერა...

(დასასრული შემდეგში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარშალს კიდევ ეპატიება, რადგანაც მოხუცი კაცია, მაგრამ ვინც დასწერა და ვინც ხელი მოაწერა—იმათ.

ჩემის აზრით, ამისთანა თხოვნის შედგენას, სჯობს, ბ. მარშალმა მოიხმაროს თავის დანარჩენი დღეები იმ თანამდებობაში, რომელშიაც არის ეხლა უფრო საზოგადო საჭირო საქმისათვისა. შეკრიბოს მაგალითად თავად-აზნაურობა, ამოირჩიოს ვისაც კარგად ესმოდეს საქმე, თუ საჭიროდ დაინახოს, მოიწოდოს მართებლობის პირი და დასწერონ წესდება:

ა) შესახებ ქურდობის მოსპობისა, რომლის თხოვნით არა ერთხელ შეუწუხებია ბ. მარშალს ყოველი პირველად აქ ჩამოსული დიდი პირები,

ბ) შესახებ ჩვენის საწყალი შვილებისა, რომლებიც ისე იზრდებიან, როგორც მე და ბ. მარშალი ვართ გაზრდილი — უანბანოდ. სთხოვოს მართებლობას, მისცეს შემწეობა ამათის აღზრდისა, მოაგროვოს ფული თავად-აზნაურებისაგან იმ რიგით, რა რიგითაც აგროვებენ სხვა-და-სხვა სადილებისათვის; ამასთან ეცადოს სამეგრელოდგან სასწავლებლისათვის ხაზინაში დატოვებული სამოცი ათასი მანეთიდამ მოგვცენ რამოდენიმე ნაწილი სენაკის მაზრაში სკოლის დასარსებლად.

გ) დაიხსნას მუდამ დღე თხოვნას შესახებ სენაკის გადატანისა, რადგანაც ეს მოიტანს დიდ ზიანს, გაჰყოფს საზოგადოებას ორ წილად, დაჰბადებს ერთმანეთში შურს, რომელიც ავნებს ყოველივე კეთილ საქმეს საზოგადოებისას და ბოლოს, ახალ-სენაკი კიდევ იმ ადგილას დარჩება, სადაც ეხლა არის, რადგან მმართებლობა არ მოინდომებს დაღუპვას ამდენი მცხოვრებისას, რომელთაც გაუშენებიათ აქ სახლები თუ დუქნები არა ნაკლებ ასასის ანუ ოთხასის ათასის მანეთისა.

დ) ეცადოს სამეგრელოს თავად-აზნაურობის ღირსების გარჩევას რაიმე ბოლო მიეცეს და სხვ.-და-სხვ.

სენაკის მაზრის ერთი თავადთაგანი.

---

## ზხაკაძე და მისი ლოღიკა

„იმისი ცოცხალთ იციან, მკვდარს ვით უზმენ თავსაო",—მოგვითხრობს ერთი ხალხის გენიოსი, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენი ცა დიდი ხანია, რაც ლუსკუმი ღრუბლით შეიმოსა, რაც გონების ნიადაგს აღარ აღვიძებს თავისუფალი მეცნიერების სხივი და არც გააღვიძებს,—მანამ მეცნიერების და მართლ-მსაჯულების გასავლები ისეთ კაცებს ექნება ხელში ჩაბარებული, რომლებიც ცხრა-მთა გადაღმა ნაშოვნი (ვინ იცის, როგორი საშუალებით) დიპლომებით, იქვე შეძენილი „უსტავებით" ან „ნაჩალნიკების" სიბრმავით ყოყოჩობენ და მეცნიერების მოწამეობას ჩემობენ. ასეთ კაცს თუ შენიშნე:

—შენ თვით-წოდებული ბრძენი, შენ არც მეცნიერება, არც გულისთბო, არც ხალხის მოყვარეობა და მისი ინტერესები არა გაქვს არაფრად გეპიტნავება; შენ აღგილს იჭერ მხოლოდ ფიზიკურად და ზნეობითი უწმინდურების წყარო ხარო,—მაშინ აღიჭურვება დიპლომით, „უსტავებით" თავის უფროსებისა და რევიზორების ნაჯღაბნით და გეტყვის:

—აი, შეხედე ამ დიპლომს, ამ უსტავს, ან რევიზორის განკარგულებას და მაშინ დარწმუნდები, თუ მე ნამდვილი მეცნიერების მქადაგებელი არა ვარო და ისე არ ვიქცევი, როგორც ხალხის და საზოგადოების ინტერესი მოითხოვსო.

ამის მეტი გამართლება მას არა სჭირია, თუნდ ხალხსა და საზოგადოებას ის მგლად ეჩვენებოდეს. დღეს ისეთი ჩვეულებრივი მოვლენაა ამ გვარი თავის-გამართლება, ისე ხშირად ხმარობენ ამ იარაღს, რომ ჩვენც, ამის შემხედვარემ, ან ყური უნდა გავასქელოთ და ვსთქვათ—კურთხეულ არს ღმერთი, ანა და, მოთმინებიდამ გამოსულმა, ამ ულირს კაცებს თავიანთი იარაღი თავზე დავამსხვრიოთ. მაგრამ, საუბედუროდ, დღეს ისეთი მნიშვნელობა აქვს ამ იარაღს ზემოხსენებულ პირებისათვის, როგორიც წინედ ფარ-ხმალს, აბჯარს და წვრილთვალას მეომრისათვისა ჰქონდა. განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ ადრე, თუ მეომარს ძალ-ღონე, ვაჟკაცობა და სიმამაცე არ ჰქონდა, იარაღი ვერას უშველიდა, ეხლა კი დიპლომ-იარაღები და უსტავ-იარაღები ისეთი ჯადოს გვარი რამ არიან, რომ მათი მექონი, თუნდ ჩურჩუტი, მოხუცი გონებით, და ზნეობით დაცემული ვინმე იყოს, მაინც იარაღს დაგაყრევინებს პატიოსან მეტოქს.

ბ. ზხაკაძეს ამ გვარი იარაღისთვის წაუტნევია ხელი, როგორც მისგან მოველოდით, და უნდა თავი გაიმართლოს. ვნახოთ.

ჩვენ ვამბობდით მოწინავე სტატიაში (№ 187), რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დამხობილია უზნეობისა და უმეცრების გამო, რევიზორები მოდიან და რაღაც უკულმართობის გამო სასწავლებელში არაფერი ხდება-მეთქი. ამის დასამტკიცებელი ფაქტი იმავე სტატიაში იყო მოყვანილი.

ზხაკაძეს კი ამ ჩვენი აზრისაგან გამოჰყავს, რომ, რადგანაც რევიზორები მოდიან და ცვლილებას არ ახდენენ სასწავლებელში, მაშ სასწავლებელის საქმე კარგად მიდის და არა ცუდად, როგორც სტატიის ავტორს ჰგონიაო. მასაც მოსწონს ეს (ჰაზრი) დასკვნა, ჩვენც ვალად გვიდგენს მას და აჩქარებასა გვწამებს მსჯელობაში. თქვენ დიდ-ხანს იფიქრეთ, ბატონო ზხაკაძე, ამ დასკვნაზე, თუ უცბად მოგვარდათ ენაზე? ორივე შემთხვევაში დიდი ფილოსოფიური და ფსიხოლოგიური—(ლოღიკურიც იყვეს) ღლევა (анализъ) გამოგიჩენიათ ჭეშმარიტად. აი როგორს ლოღიკურს სქემას აჰყოლიხართ, ბ. ზედამხედველო:

ვსთქვათ შენ ვინმემ სისუსტე შეგწამა იმ მეცნიერებებში, რომლებიც გიზეპირნია და შენ ამ ნაირი საბუთი მიარტყი მოკამათეს:—მე ფილოსოფიის ბალლი ხუთი მაქვს, ფსიხოლოგიისაც, მაშასადამე მე წირჩინებული ფილოსოფოსი და ფსიხოლოგი ვარ და როგორ მიბედავ მაგასო! ამის შემდეგ როგორ უნდა გელაპარაკო, არცკი ვიცი?! ჩვენ იმასა ვსტირით, რომ არცა-რა რევიზორისაგან ეთბობა ჩვენს სასულიერო სასწავლებელს და არცარა თქვენგან. თქვენი არ იყოს, ერთი თქვენი რევიზორთაგანი ისენი გულთბილი და სიმართლის მოყვარე აღმოჩნდა, რომ გაზდილმა ყბები შემოალეწა უსამართლობისათვის სემინარიის აივანში. ისეთ კაცებთან, რომლებიც ცრუ დასკვნებით და რევიზორების სიბრმავით აღჭურვილან თავის გასამართლებლად, და რომლებზედაც მარტო ტყვია და მუშტი მოქმედებს, ჩვენ დამჯდარი ბაასი დღეის იქით არასოდეს არ გვექნება; იმათ ჩვენ იმ სიაში მივაწერთ, სადაც მათ გული დაუდგებათ. მაგრამ ეხლა კი მკითხველსა ვსთხოვ, მოთმინება იქონიოს და ქვემოც დააკვირდეს ბ. ზხაკაძის ლოღიკას.

რევიზორების მოსვლამდის კი იყო ეგ ამბავიო (ცემა-ტყეპა), ე. ი. თუმცა-ღა რევიზორების მოსვლამდის მეც თავში მიჩაჩქუნეს და ჩემს თანაშემწესაც ცხვირში სისხლი აღინესო, მაგრამ რა უყოთ მერე, ეგ რა დასაძრახისია: ეგ ხომ რევიზორის მოსვლამდის იყო და ამასთანავე ისეც იქონიეთ სახეში, რომ მე და ჩემი თანაშემწე იმ ყმაწვილებს არ მოვსწრებივართ, რუსეთში ვსწავლობდითო (რაო? შიში შეიქს სიყვარულსო?! იხილე „შრომა" № 37), როდესაც ჩვენი მტერი შეგირდები ასათიანის მომძლვრებით იკვებებოდნენ. ამას გარდა კიდევ ჩვენ მეზობლებშიაც იყო ამ გვარი ცემა-ტყეპა და რატომ მაშინ არა სწერეთ ამ სასწავლებელზეო. ქარგი თავის გამართლებაა, შენ ნუ მომიკვდე!

რაც უნდა გულ-ჩჩვილი ძიძა იყვეს, სამ თვეში მაინც ვერ გაზრდის ქორფა ყმაწვილსო. თანახმა ვართ. მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ არც ერთი ძიძა სისხლის სამართალში არ მისცემს ჩჩვილს მისთვის, რომ მწარე ძუძუს მიცემის გამო ძუძუზე უკბინოს.

ჩემ ჩამოსვლამდი პარტიობა იყო და ეხლა არაფერი ამ გვარი არ მოიპოვებაო, პარტიობა არხივში განისვენებსო. უბედურობაც ის გახლავს, რომ პარტიობა ეხლა „ჟურნალებში" აღარ იწერება და სულისა და გულის არხივში კი ყველა თქვენგანს გამჯდარი აქვს. მიიკითხ-მოიკითხეთ თქვენს თანა მოსამსახურეებში, რომელს მოსწონს თქვენი პედაგოგიური განვითარება, გამოცდილება, საგნებში ყოფა-ქცევა, მუყაითობა შრომაში და სხვა. თუ ისინი ზნეობითი გერმოფროდიტები არ არიან, პირმოუთნელად გეტყვიან მას, რაც ბევრჯელ უთქვამსთ საქვეყნოდ. რატომ არ ჩასწერე ახალ დავთარში ის შემთხვევა, როდესაც, თქვენი უადგილო წამოროშვის გამო, ერთმა მასწავლებელმა კინალამ თავის სარქვ[illegible] სკამით? მოიგონეთ ლომთაძის ისტორიაც, როდესაც თავის ხვედრს ფულებსა გთხოვდა კასსიდგან; მოიგონე ხუციევის ისტორია, როდესაც ის გასვლას აპირებდა სამმართველოდგან. მაგრამ ის ხომ პარტიობა და უკმაყოფილება არ იქნება, რაც დავთარში არ ჩაიწერება!! მგებ კიდევაც გაგვიდგსთ ყველაფერზე „არას" თქმა, მაგრამ სინიდისს რას ეუბნებით, თუ კიდევ მოქმედებს?!

ოც და ხუთი ყმაწვილი კი არა, ოცის ნახევარიც არ გამოგვირიცხავსო და ისიც ამა-და-ამ სტატიის ძალითო. მნიშვნელობა არა აქვს შენი მთავრობაც ძალას არ გატანს მის სისრულეში მოყვანისათვის; თუმცა დიდი ხანია გამოიცა ის მუხლი, მაგრამ ყველა გვერდს უვლიდა, რადგანაც მისი სისრულეში მოყვანით თუ რამე წახდებოდა, თორემ არაფერი გაკეთდებოდა. ამას გარდა კიდევ იმ მუხლის ძალა ზოგიერთებზე იხმარეთ და ისიც შემდეგში მოგახსენებთ იმას, როდესაც ბატონი მიროპოლსკის „ატროტს" გავარჩევთ რუსულად და ქართულადაც. როდის გამოუცხადეთ შეგირდებს გამორიცხვა და როდის დაეკითხეთ სამმართველოს წევრებს და პედაგოგიურს კრებას იმათ დათხოვნაზე,—ამაზედაც მაშინ მოვილაპარაკებთ. ეხლა კი თქვენს კითხვებზე მოგცემთ პასუხს.

რომელი მასწავლებლის წაბაძვით მისჩვევიან შეგირდები სიზარმაცეს, სიმთვრალეს, გინებას ანგარებას, კაცისკვლასო და სხვ.—მკითხავთ. სხვას თავი დავანებოთ—თქვენგან, ბატონო ზედამხედველო! ხომ არ დაგვიწყნიათ ის საღამო, როდესაც თქვენ, თქვენისვე შესაფერი მიზეზის გამო, პატიოსან სუფრაზე სტაქნები მტვრად აქციე, დანა-ჩანგალი სიკვდილიდგან ახალ ფეხ-გამოდგმულ ქალს ცხვირპირში მიაყარეთ, მერმედ რევოლვერის ღირება დაუწყეთ თუ ერთს, თუ მეორეს და მანამ იარაღი არ აგყარეს, უსუსური ბავშვები, ქალი და კაცი სტუმარი და მასპინძელი შიშით კრთებოდნენ. ვინ იცის კიდევ რაები ჩაიდინეთ! მოწმედ სტუმარ-მასპინძელი და მეზობლები კმარან.

ეს პატარა ეპიზოდიც კმარა, სხვა რომ არ იყოს, თქვენი კითხვების პასუხად. მგებ სთქვათ, ეს ხომ კლასში არა ყოფილა, ოჯახში იყოო. კლასში ღვინო არ შეიტანება, არც რევოლვერი, არც.

რომელი ზედამხედველი იქადის, ათი წლის შემდეგ მილიონერი ვიქნები და ტფილისის სომხებს კონკურენციას გავუწევო? სომხების „კონკურენტობა" და ოვაასი მოსწავლის ზედამხედველობა არ ვიცი, რომელი კაცის თავში მოთავსდება.

რომელი ზედამხედველი იშენებს სახლებს ორი წლის სამსახურის განმავალობაში? ბანკისა მმართებსო, იტყვით... ხარაზოვიც ბანკიდგან სესხულობს.

რომელი შაგირდი რომელ მასწავლებელს გამოეკიდა რევოლვერითო

მკითხავთ კიდევ. სხვას თავი დავანებოთ—აი იმას, რომელიც „მუნჯი“ და „ყრუ“ არის, მაგრამ ყველაფრის გაგება კი შეუძლია და რომელიც ერთმა ქუთაისის მოქალაქემ და ორმა ამხანაგმა კალთა გადაფარებული გამოაპარეს ბულვარიდგან, ხიფათს გადაარჩინეს და აიყვანეს იმ გორაზე, სადაც „ბალქობია“ ისე გავრცელებულია, როგორც სადილ-ვახშამი. შაგირდი ვინც იყო, თქვენ გეხსომებათ. თქვენს მეზობლებში მოიკითხეთ, ვინ ვარჯიშობს რევოლვერის სროლაში! მგონი პოლიციაც დააფეთეთ ბათქაბუთქით.

ეხლა იმ მტრებზე მოვილაპარაკოთ, რომლებიც თქვენ ამოგჩენიათ და რომლებიც ქვეყანაზე არ არსებობენ. თქვენის ფიქრით თქვენ მტრებად ალმოჩნდნენ „დროების“ და „შრომის“ რედაქციები, ვილაც ჯიბე-გახვრეტილები, ორ გზა შუა აშენებული სკოლა, მისი მასწავლებლები, მე, ჩემი პატრონი (იცოდე, რომ მე და ჩემი პატრონი ერთი კაცის მეტი არ ვართ, რომელსაც „მე“ გვქვია, თქვენ რომ „ჟ“ იცით, ის არ გეგონოსთ) და სხვანი. რა ენამ გათქმევიათ, რომ ამდენ კაცს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სიკეთე ქამად მიაჩნიათ? ნუ თუ თქვენს მტრობას რვაასი კაცის ბედილბალს ანაცვალებენ? ამდენი კაცი რომ ადამიანს მტრად ეყოლება, ის ან უნდა იყვეს ახალი მეცნიერების მქადაგებელი კაცი, ისეთი მეცნიერების, რომელიც რადიკალურად სცვლიდეს ცხოვრების საძირკველს, ანა და.... მაგრამ თქვენ თუ ამდენ მტრებს ასახელებთ, მგონი სცდებით და დიდად იგდებთ თავს.

„დროების“ მე-187 ნომრის სტატიის ავტორი.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

## ქალაქის გამგეობისაგან

სატრაქტირო წესდების მე-26 § ძალით ტრაქტირებას, ხარშოვნიკებისა და პასტაიალი დვორების საზოგადოებათა დეპუტატები ვალდებულნი არიან 1 ნოემბრამდინ (გიორგობის თვემდინ) შეუდგნენ 1883 წლისათვის საშუალო აქციზის გაწერას;—ამის გამო ტფილისის ქალაქის გამგეობა ზემოხსენებულ ზავედენიების პატრონებსა სთხოვს, რომ არა-უგვიანეს 1 ნოებრისა მიიღონ უპრავიდამ მოწმობა თავიანთ ზავედენიების გახსნისა 1883 წ. ვინც ამას არ შეასრულებს, ე. ი. ვინც დანიშნულ ვადამდინ ხსენებულ მოწმობას არ მიიღებს უპრავიდამ, იმათ უპრავა სატრაქტირო წესდებისა 18 და 38 §§ მუხლების თანახმად მოეპყრობა. (3—1)

**ყმაწვილი ქალი**, რომელმაც კარგათ იცის ყოველი ხელ საქმე როგორათაც ხელით, ისეთაც მაშინით, **ეძებს ალაგს მკერავათ პატიოსან სახლში თვეობით.** ადრესი გაბაშვილის სახლში, ვერაზედ № 4. (8—2)

ტფილისის კადეტის კორპუსში კურს დასრულებული ამზადებს ყმაწვილებს სამხედრო სამსახურის მესამე განყოფილებისათვის, (III-йразр. вольно-опред.) გიმნაზიის 5 კლასისათვის და აგრეთვე სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის ძრიელ ზომიერ ფასად. ადრესი ქაშუეთის ეკლესიის ეზოში.

(3—2) მელქისედეკ ნაკაშიძე.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

**ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.**

შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

## მწყემსის სტვირი

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის **სკოლაში და შინ საკითხავად** ალაიანცისა

**გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.**

ფასი ერთი აბაზი

(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ახალი ქართული

## ქარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**


## ტაქსია

საჭმელად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ოკტომბრიდამ 15 ოკტომბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ | |
| მეორის | „ —1 გირ. | 4 | კ. |
| მესამის | „ —1 გირ. | — | |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 | კ. |
| მეორის | „ —1 გირ. | 4½ | |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 | კ. |
| მეორის | „ „ —1 გირ. | 5 | კ. |
| მესამის | „ „ —1 გირ. | 4½ | |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 | კ. |
| მეორის | „ —1 გირ. | 7 | კ. |
| სუკი | — — —1 გირ. | 14 | კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 8 | კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — | კ. |
| მეორის | „ —1 გირ. | — | კ. |


გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

## სამშობლო!

ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.

ფასი 60 კაპ. (20—20)

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაუთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Октября 1882 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.